

# საკრებულება

და

# უპირატესობა

სამხლისაგან ქონების სასურთიერეთო დაზღვევისა.

ტფილისის საურთიერეთო დაზღვეველ საზოგადოების ადმინისტრაციის მინდობილებით შედგენილი ამა საზოგადოების უფროსის ბუხგალტერის

ვ. ბარსამოვის მიერ.

ტფილისი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა.

1896



127

# საკრებულება

და

# უპირატესობა

29454

სეხსლისაგან ქონების საურთიერთო დაგლჳევისა.

ტფილისის საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების ადმინისტრაციის მინდობილებით შედგენილი ამა საზოგადოების უფროსის ბუხგალტერის

გ. ბარსამოვის მიერ.



ტფილისი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა.

1896

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го Ноября 1896 года.

## სარგებლობა ჭ უპირატესობა საურთიერთო დაზღვევისა.

ჩვენს დროში მრავალ გვარი დაზღვევა არსებობს: დაზღვევა სიცოცხლისა, დაზღვევა მოუსაველობისაგან, სეტყვისა, წყალ-დიდობისა, გზად უბედურებისაგან როგორც ხმელეთზედ, ისე ზღვასა და მდინარეებზედ, დაზღვევა შემოსავლისა და თაენისა, დაზღვევა ცეცხლისაგან უძრავისა და მოძრავის ქონებისა და სხ.

ამ წიგნაკში ჩვენ აზრად გვაქვს მოვილაპარაკოთ განსაკუთრებით ცეცხლისაგან ქონების დაზღვევის შესახებ.

ცეცხლისაგან ქონების დაზღვევას საგნად აქვს აღუდგინოს მის პატრონს ის ნამდვილი ზარალი, რაც ცეცხლის გაჩენისაგან დაჰმართებია.

მაგალითებრ, 10.000 მან. ღირებულ ქონების პატრონს ყოველ წელიწადს დამზღვეველს დაწესებულებაში სულ რაღაცა 22—25 მან. შეაქვს და ამითი სრულიად უზრუნველ-ყოფილია იმ შიშისაგან, რომ ვაი თუ ცეცხლი გაუჩნდეს ჩემს ქონებას და გავლატაკდეთ.

იმ კეთილის აზრისა გამო, რომელიც დამზღვეველს

საზოგადოებასა აქვს, სასურველია, რომ ეს დაწესებულებანი ყველგან წესიერად იყოს განვითარებული. წესიერი მათი განვითარება-კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ამისათვის იზრუნებენ არა მარტო საზოგადო მოღვაწენი, არამედ თვით ქონების მფლობელნიც, ე. ი. დამაზღვეველნი.

რუსეთში ქონების ცეცხლისაგან სამ-გვარი დაზღვევა არსებობს:

1) საქალაქო საურთიერთო დაზღვევა;

2) ერობის საურთიერთო დაზღვევა სავალდებულო და ნება-ყოფლობითი,

და 3) სააქციო დამაზღვეველი საზოგადოებანი.

ჩვენ დაწერილებით მოვილაპარაკებთ საურთიერთო დამაზღვეველსა და სააქციო დამაზღვეველ საზოგადოებათა შესახებ და ვეცდებით გამოვარკვიოთ როგორც საგანი და აზრი ამა საზოგადოებათა, ისე ის უპირატესობანი, რომელიცა აქვს საურთიერთო დამაზღვეველს საზოგადოებას სააქციო დამაზღვეველ საზოგადოებასთან შედარებით.

რუსეთში დამაზღვეველი საზოგადოება პირველად სააქციო დაარსდა და ამ საკომერციო დაწესებულებათ რაკი აზრად, უმთავრესად, საკუთარი სარგებლო-

ბა ჰქონდათ, დაზღვევის გარდასახადის ნიხრიც მეტად ძვირი დაადგინეს.

1827-დგან 1847 წლამდე მთელს რუსეთის იმპერიაში მხოლოდ ერთი დამზღვეველი საზოგადოება არსებობდა, რომელსაც 20 წლის მონოპოლია ჰქონდა მინიჭებული. იგი დაზღვევის გარდასახადთა ნიხრს თვითვე არდგენდა და ამ მხრივ ხელის-შემშლელი არაფერა ჰყავდა. 1847 წლიდგან, რაკი სხვა დამზღვეველი საზოგადოებანიც დაარსდა, ბევრს იმედი დაეებადა, რომ ამ გარდასახადის რაოდენობა ძირს დაიწვეს ახლად დაარსებულ საზოგადოებათა შორის კონკურენციის—სავაჭრო მეტოქეობა-ჯიბრის გამო. სამწუხაროდ, ეს იმედი არ გამართლდა. სააქციო საზოგადოებათა სხვა-და-სხვა ხელ-შეკრულობასა, პირობის დადებასა და ამა საზოგადოებათა წარმომადგენლების ჩუმს კრებას საგნად მხოლოდ საკუთარი მათი ინტერესი ჰქონდა, სახელდობრ კონკურენციის აცილება ერთმანეთ შორის მორიგების შემწეობით და დაზღვევის გარდასახადთა ახალის, საერთო, მომატებულის ნიხრის დადგენა; თვით მამულის პატრონთა—დამაზღვეველთა ინტერესი და სარგებლობა-კი უყურადღებოდ იყო დატოვებული, რადგან აქციის

პატრონებს დამაზღვეველნი მხოლოდ სათლელ დუმად  
მიაჩნდათ.

ყველაზედ წესიერი აზრის მხრივ და სასარგებლო  
თავისის პირობებით საურთიერთოდ დაზღვევაა ქო-  
ნებისა.

ეჭვი არ არის, რომ ყოველ გვარი დაზღვევა, რა  
პირობებითაც უნდა იყოს წარმოებული, რაოდენადმე  
მაინც სავაჭრო, საკომერციო საქმეა და მოგება მო-  
აქვს. მაგრამ მიზანი და მიმართულება სააქციო სა-  
ზოგადოებათა, როგორც ყოველ გვარ განსაკუთრე-  
ბით სავაჭრო საქმისა, იმაში მდგომარეობს, რომ რაც  
შეიძლება მეტი მოგება, მეტი ღირებულები შეხვდეს  
ყოველ აქციისათვის თვით აქციის პატრონთ; საურ-  
თიერთოდ დამაზღვეველს საზოგადოებებში-კი ეს მოგე-  
ბა, რაკი საზოგადოების წევრნი დაკმაყოფილებულნი  
იქნებიან ცეცხლის ზარალისაგან და მმართველ-გამგე-  
ობის ხარჯი გასტუმრებული იქნება, სრულიად სა-  
თადარიგო თანხის გაძლიერებასა ჰხმარდება. სათადა-  
რიგო თანხის გაძლიერებას-კი ის შედეგი მოსდევს,  
რომ რამდენიც ღირს სათადარიგო თანხა, იმდენი  
დასაზღვევი გარდასახადი მცირდება, ასე რომ ქონე-

ზის პატრონნი სულ ბოლოს და ბოლოს სრულიად თავისუფლდებიან გარდასახადისაგან და აღარა შეაქვთ-რა საზოგადოებაში თავისის ქონების დაზღვევისათვის.

ამას გარდა, საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოებანი იმ ფულს, რაც სათადარიგო თანხას გადაეჭარბება, სხვა საჭიროებას ახმარებენ როგორც საურთიერთო დაზღვევის საქმისას, ისე თვით ქონების პატრონთა და იმ ქალაქის საჭიროებასა, რომელშიაც ეს საზოგადოებანია დაარსებული.

---

მესამოცე წლებიდგანვე დაიწყო აღორძინება საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებებმა სხვა-დასხვა გუბერნიისა, ოლქისა და მაზრის ქალაქებში და ზოგიერთ სოფლებშიაც-კი.

ამ ქამად რუსეთში 80 ასეთი საზოგადოება ჰმოქმედებს.

ოც-და-ათის წლის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ იმ ხელ-შემშლელ გარემოებათა მიუხედავად, რომელსაც, უმთავრესად, სააქციო საზოგადოებანი აჩენდნენ, საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოებანი მაინც სწრაფად განვითარდნენ და საკმაოდ ძლიერი თანხაც შეიღვინეს. ესეც ამტკიცებს, რომ ეს საზოგადოებანი

გონიერსა და სასარგებლო წესსა და საფუძველზედ არის აგებული.

ყოველ ზემოხსენებულის უფრო დასარწმუნებლად და დასაჯერებლად მოვიყვანთ 1893 წლის ანგარიშიდგან რამდენსამე ცნობას 76 საზოგადოების მოღვაწეობისას დაარსებიდგან შედარებით მცირე ხნის განმავლობაში (უფუძველესი მათგანი სულ 30 წელიწადია რაც არსებობს).

1894 წლის პირველ იანვრამდე 76 საზოგადოებაში დაზღვეული იყო უძრავი და მოძრავი ქონება 613 მილიონ მანეთისა; სათადარიგო თანხა-კი ამ საზოგადოებათ 12 მილიონი მანეთი ჰქონდათ.

1879 წელს ყველა საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებაში 23-ჯერ უფრო ნაკლების ფასის ქონება იყო დაზღვეული, ვიდრე სააქციო საზოგადოებებში; 1880 წელს—14-ჯერ უფრო ნაკლებისა; 1888 წელს—10-ჯერ ნაკლებისა; 1889 წელს—9-ჯერ, ხოლო 1890 წელს უკვე 8-ჯერ ნაკლებისა.

ეს ცნობები ნათლად აჩვენებენ იმპერიაში საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებათა წარმატებასა და წინ-სვლას. არ უნდა დავივიწყოთ ამასთან, რომ თითოეულ საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების

სამოქმედო ასპარეზს მხოლოდ ის ქალაქი შეადგენს, რომელშიაც იგია დაარსებული.

მთელის იმპერიის როგორც საურთიერთო დამზღვეველ, ისე სააქციო საზოგადოებათა საქმეების საერთო განხილვის შემდეგ უფრო დაწვრილებით გაესინჯავთ დაზღვევის საქმეს ჩვენში, ტფილისში.

უწინარეს ყოვლისა აღენიშნავთ, ტფილისის მკვიდრთ რაოდენად დიდი ხარჯი ჰქონდათ ქონებათა დაზღვევაზედ საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების დაარსებამდე და რაოდენად შეუმცირდათ ეს ხარჯი ამ საზოგადოების დაარსების შემდეგ.

1889 წლამდე, ე. ი. იმ დრომდე, ვიდრე ტფილისში საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება დაიწყებდა მოქმედებას, სააქციო დამზღვეველი საზოგადოება იზღვევდა ქალაქის ქვითკირის, კარგად გამართულ, უშიშარ, უძრავს ქონებას და ყოველ ათას მანეთ პასუხის-გებისათვის 4 და 5 მან. გარდასახადს ახდევინებდა მამულის პატრონს წელიწადში. 1889 წლიდგან-კი, რა დღესაც საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება დაარსდა, სააქციო საზოგადოებანი უფრო მჭიდროდ ამოუდგნენ ერთმანეთს მხარში და იძულებულნი იყვნენ თავისის გარდასახადის შემცირებისა-

თვის ეზრუნათ, რომ დაზღვევის საქმე ხელიდგან არ გამოსცლოდათ.

დაიწყო თუ არა მოქმედება საურთიერთო დამზღვეველმა საზოგადოებამ, დაზღვევის გარდასახადთა ნორმალური ნუსხა დაადგინა, სახელდობრ: თუ ქვითკირის შენობა იყო დასაზღვევი, კარგად დახურული, ე. ი. რკინით, კრამიტით ანუ მიწით, და სახლშივე ჰქონდა წყალი გაყვანილი, იგი ყოველ ათას მანეთის პასუხის-გებისათვის 1 მან. 80 კაპ. აზღვეინებდა, იმ შეღავათით, რომ ქონების პატრონთ დაზღვევის მესამე წელიწადს გარდასახადის 5% უკლებდა, მეექვსე წელიწადს—10%-ს და მერვე წელიწადს—15%-ს. მაშინ სააქციო საზოგადოებათ ამისთანა ქონების დაზღვევის ათას მანეთის პასუხის-გების გარდასახადად 2 მან. 50 კაპ. გამოაცხადეს, ე. ი. თითქმის 60% ნაკლები მათ მიერვე დადგენილ სულ უუმცირეს გარდასახადისა, მერე ეს რაოდენობაც 25 კაპ. შეამცირეს და, რამდენისამე ხნის შემდეგ, 2 მან. ჩამოვიდნენ.

ტფილისის საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების წევრი, რომელმაც ამ საზოგადოების მოქმედების დაწყების პირველ წელიწადსავე დააზღვია თავისი ქონება და რომელიც მაშინ ყოველ ათას მანეთად დაზღვეულ ქონების გარდასახადად 1 მან. 80 კაპ.

იხდიდა, ეხლა, შვილის წლის განმავლობაში წევრად  
ყოფნის შემდეგ, ყოველ ათას მანეთისას 1 მან. 53  
კაპ. იხდის.

როგორც ვუწყით, უძრავი ქონებანი ტფილისში  
უმეტესად მკვიდრად არის აგებული, ე. ი. ქვითკი-  
რის შენობებია, კარგად დახურული; მაშასადამე, ამ  
შენობათა მასალა ცეცხლის მხრივ საკმაოდ უშიშა-  
რია და ამიტომ ქალაქის შენობათა უმეტესი ნაწილი  
საურთიერთო საზოგადოების ნიხრით უნდა დაზღვე-  
ულ იქმნას 2 მან. ანუ 1 მან. 80 კაპ. ამისდა მიუ-  
ხედავად, სააქციო საზოგადოებებში, რომელთაც სა-  
ჭიროების ძალით იძულებულ იქმნენ შეემცირობინათ  
თვისი გარდასახადთა ნუსხა, მაინც დაზღვეულია ქ.  
ტფილისის უძრავნი ქონებანი.

ტფილისის საურთიერთო დამზღვეველ საზოგადო-  
ების მიერ მოტანილი სარგებლობა განურჩევლად  
ტფილისის ყველა ქონების პატრონთათვის, რომელ-  
თაც-კი ეს ქონება დაზღვეული აქვთ, ყოველ გვარს  
ეჭვს გარეშეა, რადგან ჩვენში ამ საზოგადოების და-  
არსების შემდეგ დაზღვევის გარდასახადმა არსებულთან  
შედარებით 60%-ით იკლო, იკლო მარტო იმათთვის-  
კი არა, რომელთაც თავისი ქონება საურთიერთო  
საზოგადოებაში გადმოიტანეს და იქ დააზღვიეს, არა-

მედ იმათთვისაც, რომელთაც დღევანდლამდე სააქციო საზოგადოებებში აქვთ ქონება დაზღვეული.

ეს სარგებლობა ფულად რომ ვიანგარიშოთ, გამოვა, რომ ტფილისს წელიწადში ამ მხრივ 100.000 მანეთზედ მეტი დაუზოგნია და ჯიბეში დარჩენია.

და მართლაც, თუ ჩვენს ქალაქში დაზღვეულია 45 მილიონ მანეთის ქონება და ყოველ ათას მანეთის დასაზღვევი გარდასახადი 4 მან. 50 კაპ. შეადგენს (ძველის ნიხრის კვალობაზედ რომ ვიანგარიშოთ), ეს გარდასახადი საერთოდ 200.000 მანეთზედ ცოტა მეტი გამოვა. ეხლა-კი, საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების მიერ დადგენილ ნიხრით, ტფილისის ქონების პატრონებს—დამაზღვეველთ 100.000 მან. ეხარჯებათ. ამ გვარად დაზოგილი 100.000 მან. რჩება არა მარტო იმათ სასარგებლოდ, რომელნიც საურთიერთო საზოგადოების წევრნი გამხდარან, არამედ იმათ სასარგებლოდაც, რომელთაც თავისი ქონება ჯერ ისევე სააქციო საზოგადოებებში აქვთ დაზღვეული.

ორთა შუა რიცხვით წლიურად დაზოგილი ფული 100.000 მან. რომ ვიანგარიშოთ, დავინახავთ, რომ ამ უკანასკნელ შვიდის წლის განმავლობაში, საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების დაარსებით გა-

მოწვეულ კონკურენციისა გამო, ჩვენის ქალაქის კონების პატრონთა—დამაზღვეველთა ჯიბეში საკმაოდ დიდი ფული—700.000 მან დარჩენილა.

განა იმავე კონკურენციის წყალობით არ არის დაზღვევის ვარდასახადი ასე ძლიერ შემცირებული, რის გამოც ტფილისის ნაკლებად უზრუნველ-ყოფილ და ღარიბ მამულის პატრონებსაც შეძლება მიეცათ თავიანთი კონება დაეზღვიათ.

სააქციო საზოგადოებაში კონების დამაზღვეველი მამულის პატრონი მუდმივი, საუკუნო ფულის გარდამხდელია, მოხარკვა ამა საზოგადოებისა და მერმისში:ც-კი არაფერს სარგებლობას არ მოელის, საურთიერთო დამაზღვეველ საზოგადოების წევრი-კი რამდენისამე წლის შემდეგ დაზღვევის გარდასახადს სულ აღარ იხდის, თუმცა იმისი კონება ისევე დაზღვეული რჩება.

უსასყიდლო დაზღვევამდე ნილწვეა ბევრს შეუძლებლად, არაკად მიაჩნია მაშინ, როდესაც 80 არსებულ საურთიერთო დამაზღვეველ საზოგადოებათა შორის 10-მა უკვე მიაღწია ამ უსასყიდლო დაზღვევამდე.

საჭიროდ მიგვაჩნია აქვე დავასახელოთ იმ ქალაქების საურთიერთო საზოგადოებანიც, რომლებშიაც

უსასყიდლოდ არის დაზღვეული ქონებანი: პოლტავისა, ხარკოვისა, პენზისა, ცარსკოე-სელოსი, გატჩინოსი, რეველისა, ჟიტომირისა, სარატოვისა, ნოვგოროდ-სევერსკისა და იაროსლავისა.

ორთა შუა რიცხვით ეს საზოგადოებანი 23 წელიწადია რაც არსებობენ და ორთა შუა რიცხვითვე ქონების დაზღვევის წელიწადიდგან 15 წლის შემდეგ ანთავისუფლებენ მამულის პატრონთ დაზღვევის გარდასახადისაგან; მაშასადამე, ყველა ის უძრავი ქონება, რომელიც-კი დაზღვევდა ამ საზოგადოებაში მათის მოქმედების პირველს რვა წელიწადს, ამ ქამად უსასყიდლოდ დაზღვევითა ჰსარგებლობს.

აქედგან იმ დასკვნას უნდა დაადგეს ადამიანი, რომ გაივლის კიდევ 20 ანუ 25 წელიწადი და ყველა ქონება, რომელიც-კი ამ ქამად დაზღვეულია საურთიერთო დამზღვეველს საზოგადოებებში, განთავისუფლებული იქნება დასაზღვევ გარდასახადისაგან.

ენახოთ ეხლა, რა ნაყოფიერი შედეგი მოჰყვებოდა ტფილისის ყველა მამულის-პატრონ — დამზღვეველისათვის, ჩვენში საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების დაარსების პირველ წლიდგანვე, ე. ი. 1889 წ., რომ დაეზღვიათ თავისი უძრავი ქონებანი ამ საზოგადოებაში. უწინარეს ყოვლისა, რასაკვირველია,

იმათ, როგორც ზემოდაცა ვსთქვით, თავისის ქონების დაზღვევის გარდასახადი პირველს ორს წელიწადს უნდა ეძლიათ 200.000 მან.-კი არა წელიწადში, როგორც დადგენილი იყო სააქციო საზოგადოებათა ნიხრით, არამედ სულ 100.000 მან.; მერე ყოველს ორს წელიწადს მესამეზედ დაზღვევის გარდასახადი, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 5<sup>0</sup>/<sub>0</sub>-ით შეუმცირდებოდათ, დასასრულს, სულ 20 ანუ 25 წლის გასვლის შემდეგ ყველანი განთავისუფლებულნი იქნებოდნენ დაზღვევის გარდასახადისაგან.

ყოველივე ეს სიკეთე საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებათა მოღვაწეობის ძირეულ და მთავარ დედა-აზრთა პირდაპირი შედეგია.

---

ყოველისავე ნათქვამის შემდეგ უნებლიედ იკითხავს ადამიანი, იმ ბედნიერ ქალაქების ზოგიერთნი მამულის პატრონები, რომლებშიაც საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოებანი არსებობს, რატომ არა სჩქარობენ ამ საზოგადოებაში შესვლასა და თავისის ქონების დაზღვევასაო?

რატომ და იმიტომ, რომ მამულის პატრონთა უმრავლესობას სრულიად არა აქვს გაცნობილი საურთი-

ერთო დამზღვეველ საზოგადოებათა მოღვაწეობის მთავარნი დედა-აზრნი, რადგან სულ მცირეოდნადაც არის რომ ჰქონოდათ გაცნობილი ეს მოღვაწეობა, ადვილად დარწმუნდებოდნენ იმის სიკეთეს და სააქციო საზოგადოებაში მამულების დაზღვევის უარის-თქმის საჭიროებას.

18 სააქციო საზოგადოებაში ერთის წლის განმავლობაში დაზღვეულ იქმნა 4 მილლიარდისა და 356 მილლიონ მანეთის ქონებანი, თავისი საკუთარი თანხა-კი, როგორც ძარისა, ისე სათადარიგო, ამ 18 საზოგადოებას სულ 35 მილლიონი მან. ჰქონდა. ამის თანაბარ საქალაქო საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებებში იმავე წელს დაზღვეულ იქმნა 533 მილლიონ მანეთის ქონებანი, მაშინ როდესაც ამ საზოგადოებათ 9 1/2 მილლიონი საკუთარი თანხა ჰქონდათ.

რომ შეეადაროთ ამ ორივე საზოგადოებათა მიერ ნაკისრ პასუხის-გების ჯამი და საკუთარი თანხა, დარწმუნდებით, რომ სააქციო საზოგადოებებში მამულები 8-ჯერ უფრო მეტის ღირებულობისა არის დაზღვეული, ვიდრე საურთიერთო საზოგადოებებში, თუმცა სააქციო საზოგადოებათა სათადარიგო და ძირის თანხა მხოლოდ ერთი ოთხადა ჰმეტობს სა-

ურთიერთო საზოგადოებათა ძირის თანხას. აქედან იმის დასკვნა შეიძლება, რომ საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება ერთი ორად უფრო მეტად უზრუნველსა-ჰყოფს მამულის პატრონს, ვიდრე სააქციო.

ყველაზედ შეძლებული სააქციო საზოგადოებათა შორის არის ესრედ წოდებული „პირველი რუსეთისა“ („Первое Российское“), დაარსებული 1827 წელს, რომლის ძირისა და სათადარიგო თანხა რომ ვიანგარიშოთ დაზღვეულ მამულების ზღვევის ფასის კვალობაზედ, მის მიერ პასუხის-საგებელად ნაკისრ 1.000 მანეთისათვის 6 მანეთზედ ნაკლები მოდის, ე. ი. 0,6<sup>0</sup>/<sub>0</sub>; სხვა სააქციო საზოგადოებანი ამაზედ მცირედ უზრუნველ-ჰყოფენ საზღვევს პასუხის-გებას, ყოველ 1.000 მანეთს 4—5 მანეთით.

ამასობაში ჩვენ ხელთა გვაქვს იმავე წლის ცნობანი 76 საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოების შესახებ, რომლიდგანაცა სჩანს, რომ:

ერთი საზოგადოება ყოველ მის მიერ საზღვევად ნაკისრ ათასს მანეთს უზრუნველ-ჰყოფს თავისის საკუთარის სათადარიგო თანხიდგან 227 მანეთით.

ორი საზოგადოება	„	150 მან. ზ მეტითაც.
8	„	100 „
20	„	50 „

17	„	„	25	„	„
18	„	„	10	„	„

საერთოდ ყველა საურთიერთო საზოგადოებას-კი ყოველ მის მიერ საზღვევლად ნაკისრ 1.000 მან. უზრუნველ-საყოფელად, ორთა შუა რიცხვით, საკუთარი ფული აქვს თითქმის 22 მან., ანუ 2,2<sup>0</sup>/<sub>0</sub>.

ამ ცნობებით ჩვენ იმის ჩვენება გვინდა, სხვათა შორის, თუ რამდენად უნდა ერწმუნოს ადამიანი სა-აქციო საზოგადოებათა ქომაგ-დამცველების სიტყვას, რომ ვითომ საურთიერთო საზოგადოებანი უზრუნველს ვერა ჰყოფენ ამ საზოგადოებაში დაზღვეულ მამულების პატრონებს ცეცხლის ზარალისაგან, ამ საზოგადოებათ საკმაო ფული არა აქვთ, იქ დაზღვევა საშიში და საფრთხილოაო, და სხ., და სხ.

საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ისიც მოვიხსენიოთ, რომ მას შემდეგ, რაც საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოებანი არსებობენ, ამ საზოგადოებათ 7 მილიონ მანეთზედ მეტი ჩვეულებრივი ცეცხლის ზარალი გარდაუხდიათ ხაზინის დაუხმარებლად და მისგან ფულის სესხად აუღებლად; მართალია, ორს-სამს ქალაქში განსაკუთრებული ზარალი მოიტანა ცეცხლის გაჩენამ, ისეთი ზარალი, რომ ამ საზოგადოებათა საშუალებასა სჭარბობდა, მაგრამ ეს ზარალიც,

დანარჩენ საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებათა დახმარებით, გარდაუხდიათ უდავიდარაბოდა და უჩივლელად.

საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებათა სიკეთესა და სარგებლობას ის გარემოებაცა ჰმოწმობს, რომ არც ერთს ამ საზოგადოებათაგანს არ მოუსპია მოქმედება, მაშინ-როდესაც ზოგიერთმა სააქციო საზოგადოებამ, მაგალითებრ, „მოსკოვმა“, „სამშობლომ“, „რუსეთელმა“ და „ბალტიისამ“ („Москва“, „Отечество“, „Россіянинъ“, „Балтійское“) სრულიად მოსპეს თვისი მოღვაწეობა.

---

ეხლა მოვიყვანთ რამდენსამე ცნობას იმის შესახებ, თუ ტფილისის საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება რამდენად უზრუნველ-ჰყოფს ტფილისის მამულის პატრონთ, ამ საზოგადოების წევრთ.

როგორც 1896 წლის 1 იანვრის ანგარიშიდგანა სჩანს, ამ საზოგადოებაში დაზღვეულია  $10\frac{1}{2}$  მილიონ მანეთის ქონება, სათადარიგო თანხა საზოგადოებას აქვს თითქმის 42.000 მან.; გარდასახადიდგან გადადებულ-დაზოგილი ფული — 13.000 მან.; მასადამე, საკუთარი ნაღდი ფული საზოგადოებას

სულ 55.000 მან. ჰქონია; ამას რომ მივუმატოთ ქ. ტფილისის მხრივ ამავე საქმისათვის პასუხ-საგებლად ნაკისრი 100.000 მან. (წინად ქალაქის საბჭოს ამ საქმისთვის 50.000 მან. პასუხის-მგებლობა ჰქონდა ნაკისრი, ხოლო 1894 წლის დეკემბრის თვეში საბჭომ 100.000 მან. პასუხის-მგებლობა იკისრა), ამ საზოგადოების დამზღვეველთა უზრუნველ-მყოფელი თანხა დადგება 155.000 მან., თუნდა ისიც არ ვიქონიოთ მხედველობაში, რომ თუ ვინიცობაა ცეცხლმა განსაკუთრებული ზარალი მოიტანა, საზოგადოებას ხაზინაც დაეხმარება და საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოებანიც შემწეობას აღმოუჩენენ.

რაკი ასეთი უზრუნველ-მყოფელი თანხა არსებობს, სრულიად მოსალოდნელი არ არის, რომ ტფილისის საურთიერთო დამზღვეველს საზოგადოებას განსაკუთრებული ზარალი მოუტანოს ცეცხლმა, ჯერ ერთი, იმიტომ-რომ ტფილისში იშვიათად გაჩნდება ხოლმე ისეთი დიდი ცეცხლი, რომ რამდენიმე ასი და ორასი სახლი გადაჰბუგოს, და, მეორეც, ტფილისის დამზღვეველი საზოგადოება თითოეულს მამულს დიდის სიფრთხილითა და გარჩევით იზღვევს.

რაც შეეხება ცეცხლისაგან მოტანილს ჩვეულებრივს ზარალს, იგი სათქმელი და სალაპარაკოც არ

არის, რადგანაც საზოგადოების წლის შემოსავალიც სრულად საკმარისია იმის უზრუნველ-საყოფელად. ეს შემოსავალი ამ ჟამად თითქმის 25.000 მან. უდრის.

ეხლა მოკლედ დავასკვნით ყოველსავე ზემოხსენებულს:

1) ცენტრისაგან ქონების დაზღვევა ყოველის გაფრთხილებულისა და წინ-დასულის მამულის - პატრონისათვის აუცილებლად სავალდებულო უნდა იყოს.

2) ვიდრე საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოებანი დაარსდებოდა, სააქციო საზოგადოებანი ერთმანეთში შეკრულის პირობის ძალით მეტად დიდს გარდასახადს ახდებინებდნენ მამულის დამზღვეველებს მთელს იმპერიასში და, მაშასადამე, ქ. ტფილისშიაც.

3) თუ იმ ქალაქების მამულის პატრონები, რომლებშიაც საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოებანი ჰქონებდნენ, ესა დაზღვევის გარდასახადს გაცილებით ნაკლებს იხდიან, ვიდრე ადრე იხდიდნენ, ამისთვის მხოლოდ და მარტო საურთიერთო დამზღვეველ საზოგადოებათა აღმოჩინების მადლობელი უნდა იყვნენ.

4) იმისათვის, ვინც საურთიერთო საზოგადოებაში დააზღვევს მამულს, ყოველს 2—3 წელიწადში დაზღვე-

ვის გარდასახადი კლებულობს და მე-20 ანუ მე-25 წელიწადზედ იგი სრულიად თავისუფლდება ყოველ გვარის გარდასახადისაგან, თუმცა იმისი მამული ისევე დაზღვეული და ტეტხლისაგან უზრუნველ-ყოფილი რჩება. სააქციო საზოგადოებებში-კი ეს ასე არ არის და არც შეიძლება, რომ იყოს.

5) თუ კინიტობაა ტეტხლისაგან უბედურება მოხდა, სააქციო საზოგადოებაში მამულის დამზღვეველმა შეიძლება ზარალის კმა-საყოფელი ჯილდო ვერ მიიღოს, საურთიერთო საზოგადოებანი-კი სავსებით აკმაყოფილებენ მამულის პატრონთა ყოველს კანონიერს მოთხოვნილებას.

6) მამულის პატრონთა ტეტხლის ზარალს საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოებანი ერთი სამად უფრო მეტად უზრუნველ-ჭყოფენ, ვიდრე თვით უმდიდრესი სააქციო საზოგადოება,

და 7) საურთიერთო საზოგადოებათა მოგება თვით მამულის პატრონთა — დამზღვეველთავე განკარგულებაშია და შეუძლიანთ ეს ფული მოახმარონ როგორც თავისს საჭირებას, ისე, თუ შესაძლებელი შეიქმნა, თავიანთ ქალაქის საჭირებასაც, სააქციო საზოგადოებათა მთელი მოგება-კი აქციის პატრონების სასარგებლოდა რჩება.



36

8 277